

ზენიშვნები სალიტერატურო ენის მოთხოვნათა ზოგი  
დარღვევის გამო

ენა ეროვნულობის არსებითი ნიშანია და, ბუნებრივია, ეროვნული ენის ჯანსალი ფუნქციონირების საკითხი ყოველთვის რჩება ერის სულიერი ცხოვრების (ამ სულიერი ცხოვრებისდა კვალად) აქტუალურ უბნად.

უდავოა, რომ სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა მის მუდმივ სრულებრივი გულისხმობს და დღევანდელი ინტენსიური ცხოვრება ამ სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე დიდი გამოცდაა. ტექნიკური ცივილიზაციისათვის გეოგრაფიული საზღვრები მხოლოდ პირობითი ცნებაა და, ცხადია, მას ადამიანების ფსიქიკაშიც, მათს ენობრივ შემცენებაშიც თავისი კვალი გააქვს. ერი (ენობრივი კოლექტივი), რომელიც ტექნიკური და ჰუმანიტარული ინფორმაციის მოზღვავებას მოუმზადებელი შეხვდება, საკუთარ „ენობრივ ორგანიზმში“ ვერ „გადახარშაც“ ამ ინფორმაციას, საბოლოოდ ტექნიკური ცივილიზაციის მსვევრპლი შეიძლება გახდეს. სწორედ ამიტომ ექცევა ეპოქის შესაფერის ენობრივ შეხებლობას დღეს ამდენი ყურადღება, განვითარებული თუ განვითარებადი დარგების მოთხოვნით იქმნება, ივსება და იხვეწება უამრავი სპეციალური ლექსიკონი, სისტემური განსჯის საგანია ნორმალიზაციის საკითხები. ეს საკითხები სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ არის მიჩნეული.

სალიტერატურო ენის დაცვისა და სრულყოფის თვალსაზრისით დღეს რომ ბევრი რამ კეთდება, ყველას მოეხსენება, მაგრამ მაინც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ქართული ენის დღევანდელი მდგრამარეობა სულაც არ იძლევა დაუშვიდების უფლებას. ამას აღიარებენ ქართული ენის მესვეურები, მის ჭირ-ლხინში საუკეთესოდ ჩახედული, მისი „მაჯაშისა შემტყვებარი“ სპეციალისტები.

ენას თვითგანწენდის, თვითსრულყოფის დიდი უნარი აქვს — მას შეუძლია ბევრი რამ უცხო თავის სისტემას დაუქვემდებაროს, ორგანულ /წევრად აქციოს. ზოგი პრობლემა, რომელიც დღეს აქტუალურად გვეჩენება, შეიძლება თვით ენაშ გადაჭრას ოპტიმალურად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სალიტერატურო ენის სრულყოფა თვითგანვითარებას მიენ-

დოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენა ძალზე ფაქტი, ძალზე მგრძნობიარება უცხო მინარევების მიმართ და ენობრივი შემღვრევები ამ ენის მომებარებელთა ცნობიერების ღრმა შრეებში ტოვებს კვალს. ამის გამო გასაგებია იმ საქმის მნიშვნელობა, ენის სიწმინდისა და მისი ბუნებრიობისათვის ბრძოლა რომ ჰქვია.

სალიტერატურო ენის ახლანდელი მდგომარეობა განსაკუთრებით მისი სამი ძირითადი გამამდიდრებელი (და, იმავ დროს, შემამღვრეველი) წყაროს საკითხის გარევევას მოითხოვს: ეს არის არქაიზმების, დიალექტიზმებისა და უცხო წარმომავლობის სიტყვების („ინტერნაციონალიზმების“) აღვიღი სალიტერატურო ენაში.

თავიდანვე არის საჭირო იმის აღნიშვნა, რომ, როცა გამდიდრებაზეა საუბარი, საკითხი არსებითად შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ლექსიკურ ერთეულებს, ხოლო გრამატიკულ ფორმებს, წარმოებას — გამონაკლისის სახით, რამდენადაც სალიტერატურო ქართული არის ჩამოყალიბებულ გრამატიკულ ფორმათა მთლიანი სისტემა, რომელშიც რაიმე სხვა სისტემის (არქაულის, დიალექტურის) ამონარიდი წევრით შენაცვლება ამ სისტემის სრულუფლებიანი და ჯანსაღი წევრისა ჯანმრთელი ორგანოს გაუმართებელი ოპერაციის ანალოგიად შეიძლება დახასიათდეს. რაც შეეხება ლექსიკას, ის სალიტერატურო ენის მუდმივი გამამდიდრებელი წყაროა, ოღონდ არა — განუსაზღვრელი. „ენობრივი ორგანიზმის“ ცნება აქაც მოქმედებს: თუ სალიტერატურო ენას არ აღმოაჩნდა რაიმე საგნისა თუ ცნების შესატყვისი ლექსიკური ერთეული, მაშინ შეგვიძლია ასეთ სახელს თამამად დავესესხოთ ქველ ქართულსაც, დიალექტსაც და, უარეს შემთხვევაში, უცხო სიტყვასაც არ დავერიდოთ (ასეთი რამ, ცხადია, გულმოდგინე, ბუნებრივ ქართულ ერთეულთა უპირატესი შერჩევის გზით უნდა ხდებოდეს). ამგვარად, ცნება „ლიტერატურული“ თუ ფორმათა თვალსაზრისით სრულიად გამოსაღევია, ლექსიკის თვალსაზრისით ერთგვარი პირობითი მნიშვნელობა აქვს: ენის ყოველ კერძო სისტემაში არსებული ლექსიკური ერთეული ლიტერატურული ქართულის სრულუფლებიანი წევრია, თუ ამ უკანასკნელს (ლიტერატურულ ქართულს) ამ სიტყვით გამოხატული ცნებისათვის თავისი ბუნებრივი და დამკვიდრებული სახელი არ მოეპოვება.

უცხო წარმომავლობის სიტყვათა, „ინტერნაციონალური ტერმინ-ლოგიის“ სალიტერატურო ენაში შერჩევისა და დამკვიდრების საქმე მთლიანად ინტელიგენციის აწევს კისერზე. ამგვარი ლექსიკის მოჭარბება, ბუნებრივია, უპირატესად მეცნიერულ ნაშრომებში შეიმჩნევა, რასაც აღბათ ვერც გავეჩევით. მაგრამ, ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ზოგიერთი ლიტერატორის, კრიტიკოსის გატაცება „ულტრათანამედროვე“ ლექსიკით. ზოგჯერ შეიძლება ქართული შრიფტით აწყობილი

მთელი წინადაღება წაიკითხოთ ისეთი, ქართული მხოლოდ ზმა რომ შეგხვდებათ. ეს არ არის ბუნებრივი და მოსაომენი მოვლენა, თუ იმსაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ტენდენციას ახალგებდა ლიტერატორებზე დიდი გავლენის ძალა აქვს. ამგვარ ნაწერებში დიდი განათლება, ფართო ერუდიცია გამოსტვივის, მაგრამ, როგორც უნდა უდერდეს ეს, მათში, უწინარეს ყოვლისა, ერთგვარი მანერულობა ინიბება. რაც უფრო განათლებული და ერუდირებულია ინტელიგენტი, მით უფრო მეტი ცოდნა და პატივისცემა მოეთხოვება მას თავისი დედა ენისა, თავისი ამოსავალი სააზროვნო წყაროსი. ზოგჯერ საჭიროებისამებრ არ ვხელმძღვანელობთ ან უკულმართად ვიყენებთ უცხო სიტყვათა თუ სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, რომელთა შედგენას ამ საქმის სპეციალისტთა დიდი ენერგია მოხმარდა და რომელთა ნაკლებად ხელმისაწვდომობა სრულიადაც არ ამართლებს ჩვენს შეცდომებს. ზოგი რამ კი ამ მხრივ, ცხადია, კვლავაც მოსაგვარებელია სპეციალისტების მიერ.

დიალექტების სიცოცხლე და სიჯანსაღე სალიტერატურო ენის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. სალიტერატურო ენა თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე დიდი სიფრთხილით და ზომიერებით უნდა განაყოფიერდეს ყოველი სიცოცხლისუნარიანი და ჯანსაღი დანაბადით ხალხის ცოცხალი ენობრივი წიაღიძან და მკაცრად უნდა გადაულობოს გზა ბევრ რამეს იმავე სისტემურობის, „ორგანიზმულობის“ პრინციპით, რაც ზემოთ ვახსენეთ. ამ აქტალურებს, ცხადია, ლიტერატურული პერსონაჟის მეტყველება ვერ დაექვემდებარება, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი რამ აქაც ვერ იქნება შეუზღუდავი. დიალექტიზმების გამოვლენის ძირითადი სფერო პროზაა, რაც, ცხადია, მისი ცოცხალ, კონკრეტულ ადამიანებთან, დროსთან სიახლოებით, მისი „ცხოვრების სარკეობით“ არის პირობადებული. აქ ერთ ტენდენციაზე უნდა მიეთითოს: ბოლო დროის იუმორისტული ნაწარმოებები, წესისამებრ, დიალექტური მოქცევების ხარჯზე „მოიცუმორისტულებენ“. ამ პრინციპს შეიძლება ზომიერად დაეყრდნოს სასცენო იუმორი, მაგრამ ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის იუმორი ენის მოჩქერის იმედზეა, ვერაფერი იუმორისტული ნაწარმოებია.

თუ რამდენად ნაყოფიერი შეიძლება გახდეს მწერლის „ხილობა“ ცოცხალ დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის, დღეს ამის მაგალითს კიდევ ერთხელ იძლევა კახური სამყაროდან გამოსული ორი მწერალი — ჩევაზ ინანიშვილი და კარლო კობერიძე. მათ შეძლეს თავიანთ ნაწერებში ის მაღლიანი ნექტარი დაეუნჯებინათ, რაც ესოდენ საჭიროა ენის სიცოცხლისათვის. ამ მწერლების მიმართება დიალექტურ სამყაროსთან განსაკუთრებული მსჯელობის ღირსია.

მაგრამ მეტ წილ ნაწერებში დიალექტიზმები ენის ცოდნის არასასურველ დონესაც ააშეკრავებენ და პროფესიული პასუხისმგებლობის შესუს-

ტებასაც. ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ოიგით გრამატიკულ ნორმათა არცოდნა არცოდვა დიახაც არ არის დ მათში გარკვევა სულაც არ მოითხოვს სპეციალური ნაშრომების „გაღაბრუნებას“, მათს ასათვისებლად ელემენტარული ნაკითხობაც საკმარისია.

ამოკრებილ შემთხვევებს, ცხადია, არავითარი გამართლება არ გააჩნია:

ჩამდენიშე შესახედავათაც მოსწონდა... („ცისკრის ბიბ-კა“); არც გამკითხავი, არც ვინ მწეთა... („ცისკრის ბიბ-კა“); ექვემდებარებული შეკვეთი მისამართის გადასახლის, მე მოვარის ნახვა მის არჩევნივა... („ლიტ. ხაქ.“); ვაი თუ მერჩინან იქ არ დამეტირე საგვარეულო იარაღო („ლიტ. ხაქ.“); მაგრამ საქმის არ მჯერა რაღაც... რამეთუ ვიცი: სუფრაში ბევრი გმირად მინახავს და შემდეგ ღამირად მომჩენებია! („ახ. კომ.“); მარიყას ძროხებში მიეღლინა თოვლის ხმა... („ცისკრი“); განა სიმახინჯედ არ აღიქმევა თბილისის ერთი მთვარი მაგისტრალის, აერობორტისაკენ მიმავალ შოსეზე(!) - გამჭრივებული აინიან-ლოჭიანი სახლები!... („კომ.“); ...როთაც ლიტერატურა-ხელოვნებას ცხოვრებისეულობას სტენე, დროის დამლოს ას ვავენ („კომ.“).

თოვლი დწება. მზრდები ეგბი შემწვანდა (გ. ჩოხ.).

მზორე დიალექტში არსებული ფონეტიკური ვარიანტია მზვარე (მზისპირი) სიტყვისა.

მავხეცალი, მაგრამ სირცხვილიანი ვართ... (გ. ჩოხ.).

ზმინი ფორმაში ხ პირის ნიშანი ყველა დიალექტისათვის ზედმეტია.

როდის მოისმენს ყური მამულის ხმას — მაქაური იავნანურის (ტ. შებ.).

### ლიტერატურულია მანდაური.

...ჩემ სიბერე გიყვირან თუ ამ ძალლ-კატამ შეგაფერინანთი? ესენიც რომ არა მშეკრენ, ცოცხლივ სამარეში ექნებოდა... ჩემი ენა ესმითყვე, ბლარტებივით მიჯრებენ. სხვაგან თუ მონახამ ძალლებ და კატებ ასრუ დან-ძმურად ჰყოფილიყვანი... წავრიდა (sic!), ალარც წერილი, ალარც ხაბარი... სამ შეილ ამ ამში დავკარგის... ამ ძალლებ და კატებ ვიყოლებ გულს... („ცისკარი“).

ამგვარი „მთიულურით“ ალაპარაკებს მწერალი თავისი მოთხრობის გმირ ქალს.

სალიტერატურო ენისათვის ზრუნვასთან არაფერი აქვთ საერთო ისეთ თვითნებურ „სიტყვათ-შემოქმედებით ძიებებსაც“, რომლებიც არც ენის სტრუქტურულ შესაძლებლობებს ითვალისწინებენ, არც ისტორიულ მონაცემებს:

„არობის ცრემლით აღევსო თვალნი...“ („ცისკრის ბიბ-კა“); ავტორს ლექსისაგან „დაძალებით“, როგორც ჩანს, არარაობა სიტყვა შეუმოქლებია, მაგრამ დაუჭვებულა, შეიძლება მკითხველმა ვერ გამიგოსო და სქო-

ლიოში განმარტებაც ჩაუტანია: არობა — უსაშველობა. უსაშველობაცა  
და უსაშველობაც!

„...ჩემთ შურიგევ, თოლსინთელევ, სისხლის თარჩიავ და ტყის მაფებო  
ულრანებში მიმაღულებო...“ („ცისკრის ბიბ-კა“); პოეტი ჩამოთვლების ბო-  
ლოს სინდისს შეუწუხებია და მეგრული „ტყაშმაფა“ უთარგმნია, მაგრამ  
ტყუილად გარჯილა — „ტყის მაფა“ ქართულად არ არსებობს.

ასევე ხელოვნურია:

მოწამეთის შებლს ეჩჩდილ ფენარა სიზმარი მოწამეთის („ლიტ. ხავ.“);  
„უსაფრთხოებისა და გაუკნებელ ყოფის თვალსაზრისით („კომ.“); და ირ-  
გვლიც ეთი ხიდათებით შემოლობილა („ცისკრი“); და მხის სილრუბლემ  
დამაზიანა („ცისკრის ბიბ-კა“).

ანალოგიური „წვრილმანი ცოდვების“ (თუ ენაში „წვრილმანი“ სა-  
ერთოდ არსებობს!) დამოწმება კიდევ მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ სა-  
ნიმუშოდ ესეც კმარა.

დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთმიმართებაზე მსჯე-  
ლობისას, გვინდა თუ არ გვინდა, გვერდი ვერ აევლება იმ „უკიდურე-  
სობებს“, რომლებიც რაიმე სახით ყოველთვის იჩენენ ხოლმე თავს. ფიქ-  
რობთ, ისეთ პრეცედენტზე უთუოდ საჭიროა დაფიქრება, როგორიც  
ე. თათარაიძის პოეზია. მისი ლექსი, შეიძლება ითქვას, უნიკალური მოვ-  
ლენაა. მან შეძლო ფონეტიკური პროცესებით „დეფორმირებულ“ თავის  
მშობლიურ დიალექტში ეპოვა ის მუსიკალური მარცვალი, რომელზედაც  
ლექსის ყელსაბამს აასხამდა. მის ლექსებს სწორედ ამ მუსიკალურობაშ  
და ნაზმა ლირიზმა მოუპოვა ის უმტკიცნეულო პოპულარობა, რასაც თით-  
ქოს ენის გაუგებლობა უნდა გადაღობებოდა წინ. იმას შეიძლება მთის  
დიალექტების წარმომადგენელი თუშური კილოს მშენელისათვის გაუცნო-  
ბიერებელმა არქაულმა სურნელმაც შეუწყო ხელი. მიუხედავად აღნიშ-  
ნული ლექსების მშვენიერებისა, პირდაპირ უნდა ითქვას. რომ ისინი მაინც  
თანამედროვე ფოლკლორული ნაწარმოებებია, ხოლო ენობრივად — დია-  
ლექტის ტიპობრივი ნიმუშები, უფრო დამხასიათებელი, ვიდრე ნების-  
მიერი ძველი თუშური ლექსი. საქმე ის არის, რომ არც ერთი თუშური  
ხალხური ლექსი არ არის თავიდან ბოლომდე ისეთი „წმინდა თუშურით“  
შეთხზული, როგორითაც ე. თათარაიძის ლექსებია. მთის დიალექტები  
საქმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი ლექსები კი — თითქმის  
არა. სწორედ ამით არის გამოწვეული ამ ლექსების იოლი მოგზაურობა  
კუთხე-კუთხე და ის სიძნელეებიც, მათი წარმომავლობის დადგენას რომ  
ახლავს. როგორც ჩანს, ხალხური პოეზიის აყვავებამ საზღვრების გაფარ-  
თოება, კუთხურობიდან გასვლა მოითხოვა, გამოიწვია რეგიონის ლიტე-  
რატურული (პოეზიის) ენის ერთგვარი თვითშექმნა. შეიძლება სხვაგვა-  
რი ვარაუდიც. ამ საკითხებზე აღბათ მართებს დაფიქრება ყველა მომა-

ვალ ლიტერატორს. ენასთან ახლოს მისვლა კი ყველას დაანახვებს, რომ  
მასშია „საიღუმლო დამარხული“.

ცხადია, კიდევ მრავალჯერ დაისმის ძველი ქართული ენის მონაცე-  
მებთან დამოკიდებულების საკითხი, რომელიც არქაიზმების პრობლემით  
სრულიადაც არ ამოიწურება. პირიქით, ყველაზე უფრო ადვილად არქა-  
იზმებზე შეიძლება მორიგება, თუ შევთანხმდებით, რომ „არქაიზმებია“  
ის ძველი ლექსიკური ერთეულები, რომლებითაც ახალმა სალიტერატურო  
ენამ საჭიროებისამებრ შეიიღო სემანტიკური სტრუქტურის ცარიელი უჯ-  
რები, გაასწორა ხარვეზები სინამდვილესთან მიმართებით. მათს აუცი-  
ლებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გრამატიკულ ფორმებთან კი, როგორც  
ითქვა, სხვაგვარი მოპყრობა გვმართებს; მათი ადგილი ახალ სალიტერა-  
ტურო ქართულში მხოლოდ მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, როცა ამ მნიშვ-  
ნელობის გრამატიკული ფორმა მას აუცილებლად სჭირდება, მაგრამ ახა-  
ლი სისტემის შესაფერისი ფორმა კი აღარ განვითარებია, გაუჩინარებია  
(ამის ნიმუშად გამოდგება ბოლო დროს დამკვიდრებული სამშვინველი,  
რომელმაც არსებითად ლექსიკური დანაკლისი შეავსო).

საუკეთესო ნიმუშებად იმისა, თუ რა და რატომ არ შეიძლება მი-  
იღოს ახალმა სალიტერატურო ენამ, გამოდგება ბოლო დროის ნაწერებში  
მოხშირებული უპყრიეს, ჰგიეს ძველი ზმნური ფორმები. უპყრიეს ტიპის  
ფორმებმა ძველ ქართულშივე სისტემატურად დაიწყეს დაბოლოების შე-  
ცვლა და ამგვარად მივიღეთ: უპყრია, ჰმოსია, გაუკეთებია... ჰგიეს ფორ-  
მამა ჰგია სახით დამკვიდრება ვერც მოასწრო, ისე გადავარდა, მაგრამ მისი  
მნიშვნელობა დღეს შეიძლება გადმოვცეთ არის, იმყოფება, დგას ზმნე-  
ბით. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ენის სისტემურობის, ისტო-  
რიული ცვალებადობის გათვალისწინებით დღევანდელ სალიტერატურო  
ქართულში -ის დაბოლოებიანი ზმნური ფორმები მისაღები არ არის.

ეს ყოველივე შეეხებოდა ცალკეული არქაული ელემენტების გამო-  
ყენებას. მაგრამ უფრო რთული და არსებითი საკითხი მხოლოდ ამის შემ-  
დეგ დგება: ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ „ენის არქაიზაცია“ და  
„სტილის არქაიზაცია“. თუ სტილის არქაიზაცია, უფრო მართებულია,  
ენის რომელიმე კერძო სისტემაზე დამყარებული სტილიზაცია ყოველთვის  
ანგარიშგასაწევ შედეგებს იძლევა, ენის არქაიზაციას დიდი „იუველირის  
სიზუსტე“ სჭირდება.

აქ შეიძლებოდა ქართული ლიტერატურის ორიგინალურ ძეგლებზე  
საუბარი (მაგალითად, მეგრულთან და დასავლურ დიალექტებთან მიმარ-  
თებით ზომიერი სტილიზაციის საუკეთესო ნიმუშია „დათა თუთაშია“;  
უკიდურესი სტილიზაციის მაგალითად გამოდგება ო. ჩხეიძის პროზა).  
მაგრამ ჩვენ ამჯერად თარგმანები უფრო გვაინტერესებს, რამდენადაც  
მათში ყველაზე ხშირად გამოჩნდება ხოლმე „სხვათა ენის სიტქბოთი ნა-

სურვები მუსიკობა“ — უცხოენოვანი ორიგინალები ყველაზე მეტად იძულებენ ხოლმე საკუთარ ენაზე ძალდატანებას, თავისის დაუნდობელ „გამოტანჯვას“.

მანამდე კი ის საფრთხეც უნდა გავიაზროთ ენისათვის, რასაც თარგმნილი ლიტერატურა ქმნის სწორედ მისი იმ მნიშვნელობის გამო, რაც უდავოა და რაზე შეჩერებაც აღარ არის საჭირო.

თარგმნა აღნიშნული მოზღვავებული ინფორმაციის დაძლევის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) გზაა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ერთგვარი „მოდურობის კომპლექსი“, რაც თარგმანს ახალგაზრდობასთან აკავშირებს. უცხოურის ბრძა თაყვანისცემა ამგვარ მკითხველს ავიწყებს, რომ ნაწარმოები თარგმნილია, ის ცალკეულ ფრაზებს, გამოთქმებს გონიერაში იბეჭდავს და ცდილობს „შემოქმედებითაღ“ გამოიყენოს. ამდენად, გასაგებია ის „ხიფათი“, რასაც შეიძლება მოუმზადებელი თარგმანი გვპირდებოდეს, და ის პასუხისმგებლობაც უდავოა, რაც, სწორედ ამის გამო, მთარგმნელს აკისრია (მთარგმნელის მისიაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარ არის, ამისათვის დიდი ისტორიული ექსკურსები იქნებოდა საჭირო).

რაოდენ პარალექსულადაც უნდა მოვეჩენოს, სალიტერატურო ენის სიგანძის პირველ საფრთხეს წარმოადგენს, ჯერ ერთი, მეცნიერებისა და პუბლიცისტიკის ენა (ამ უკანასკნელს „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების „მესამე — ცალკე წიგნი მიერღვნა“) და, მეორეც, თარგმნილი ლიტერატურის ენა. სწორედ ამ ორი ნაკადით საზრდოობს შრამპებით აზროვნება და კალკებით მეტყველება (წერითი თუ ზეპირი). შრამპებით აზროვნება და კალკებით მეტყველება ორი ურთიერთს გადაჯაჭვული სენია და მათ სწორედ ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც სენს. შრამპებით აზროვნებას აზროვნება აღარც კი ეთქმის, ხოლო კალკებით მეტყველება მხოლოდ მოჩერენებით არის ქართული. განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევი ის არის, რომ ამგვარი დასწებოვნების პირველი წყარო სკოლაა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ვალდებული ვართ უფრო მკაფიოდ შეეხედოთ თარგმანების ენას.

როგორც აღინიშნა, მთარგმნელი შეიძლება ენის არქაზიაციის გზით წავიდეს, შეიძლება სტილის არქაზიაციას, სტილიზაციას მიმართოს. პირველი შედარებით აღვილი გზაა, მეორე — უაღრესად ძნელი, ორმაგად ძნელი, ორმაგად შემოქმედებითი, მაგრამ იგი, დაძლევის შემთხვევაში, შობს ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, ორიგინალის ახალ სიცოცხლეს, ახალ ღირებულებას. ამის საუკეთესო, თუნდაც ასე ითქვას, საეტაპო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ გ. გოვიაშვილის თარგმნილი „გარგანტუას ამბავი“. ძველი ქართულის საფუძველზე სტილიზებულმა ენამ მთარგმნელს

საშუალება მისცა ფრანსუა რაბლეს გროტესკული სამყაროსათვის ჰეშ-მარიტად ახალი სიცოცხლე მიენიჭებინა. იმდენად თავდაუზოგავი და უხვია, იმდენად შემოქმედებითია მთარგმნელი ამ შემთხვევაში, რომ ბუნებრივად იშლება ყოველგვარი ზღვაზი თარგმნილსა და ორიგინალს შორის და ნაწარმოები ეროვნულ კუთხით იქცევა. გ. გოგარშვილის მთარგმნელობითი ენა და სტილი ღირსია ცალკე განხილვისა, ჩვენ კი ერთი რიგითი მონაკვეთის დამოწმებით დავამთავრებთ:

„უკეთუ კულმა ამან გაგაკვირვათ, მაშ აბა უფრორე გაჰქვირდებოლით, რომ გენახათ რამხელა დუმანი ჰკიდით სკვითურ ერკემალთ, თითოსა ოცდაათ ფუნტზედ მეტი, ანდა სირიულ ვერძთ, რომელთაც (ტენის თუ დავუჯრებთ) იმოდენა და იმსიმძიმე მუცელო მფარველნი დასტრევთ, უკან ურემსა რასმე უდგამენ საზიდრად. ოქვენ კი არცარა კუდი გირანთ და ორცარა დუმა, თქვე უკუდო იმპარტავანნო, თქვენა!“

გ. აგიაშვილის თარგმანები უკვე ქართული ლიტერატურული ცხოვრების ორგანულ ნაწილად იქცა, მაგრამ მისი შრომის (როგორც ბევრი სხვა რამის) სე თუ ისე დამატაყოფილებელი შეფასება არ დაბეჭდილა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მან „ენის არქიზიზაციის“ შედარებით ადვილი გზა აირჩია, როცა შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების თარგმნას მოჰკიდა ხელი. იგი ლექსის ტექნიკის ვირტუოზობით ახერხებს ზოგი რამ (აზ-რობრივიც და ენობრივიც) მხედველობიდან გამოვაპაროს, მაგრამ ეფუქტი პირველი მომენტია, შეფასების მომენტი ამ მხრივ ხელშესახებ ხარვეზებს ავლენს. ორიგინალთან შეუდარებლადაც იშკარად ჩანს, რომ ფორმისათვის განსაკუთრებული გამოდევნება ბევრ შინაარსობრივ კომპრომისს მოითხოვს. ამასთანავე, რამდენიმე განსხვავებული დროისა და მანერის პოეტის ერთ ინტონაციურ ქარგაში მოქცევა არაბუნებრიობის შთაბეჭდილებასაც ტოვებს და მკითხველსაც ღლის (ეს ინტონაცია პოეტს ისე მოერია, რომ მის ზეგავლენას ზოგი თანამედროვე პოეტის თარგმნის ღროსაც კი ვერ გაექცა). ენის მხრივ კი მთარგმნელმა სცადა რაც შეიძლება გაერქაულებინა იგი, აქეთ მიმართა საკუთარი, ხშირად საინტერესო და ანგარიშგასაწევი, სიტყვათშემოქმედებითი ძიებანიც კი. მაგრამ დღევანდელი თარგმანის ენა არ შეიძლება მთლიანად ძველი იყოს (ძველ ენებზე აღარც წერა შეიძლება, აღარც ლაპარაკი), ამიტომ პოეტი იძულებულია შექმნას ერთგვარი ხელოვნური ენა, ძევლისა და ახლის შენაერთი, ერთგვარი მაღალი დონის სურვეატი, რომელიც შეიძლება ლამაზად იქითხებოდეს, მაგრამ ცოცხალ პირველქმნილ ნაწარმოებად ვერ იქცევა. ამას კი ნიჭირი მთარგმნელი ადვილად მოახერხებდა, „საკუთარი გავლენის“ ქვეშ რომ არ მოქცეულიყო.

ენობრივი თვალსაზრისით დღევანდელ ნაწარმოებში მიპყრიეს ტიპის ფორმები მიუღებლად ჩაითვალა, მაგრამ მთარგმნელი ამათ გვერდით

არც ისეთ (უფლიედ ტიპის) ფორმებს ერიდება, თვით ძველი სალიტერა-ტურო ქართულისათვის რომ იყვნენ არქაულის ნაშთები:

„ურემლის წვიმა წვიმს, ქარობს ქარცივი, ქმნა სიკეთისა ვიღას უცლიედ“ (უფლიედ მთარგმნელმა მიმოვუბნიერ ზმნას გაურითმა, იმას კი ოლარ მიაქცია ყურადღება, უახლესი ვიღას და არქაული უცლიედ ერთ ულელს როგორ გასწევდნენ);

„ხელში მიპყრიეს შემართული ჩემი ლახვარი“ (ხელში — ახალია, მიპყრიეს — ძველი. ხელში მიპყრია ან მიჭირავს რატომ პერნია მთარგმნელს ნაკლები მხატვრული ეფექტის მქონე, — გაუგებარია).

ზოგჯერ ლექსის ფორმაზე, მის მუსიკალურ მხარეზე ყურის მიჯაჭვა ან ტენდენციური არქაზაცია არარსებულ ანდა გაუგებარ ფორმებსა და ფრაზებს წარმოშობს:

„...მიჯნათა მიღმა უსაზღვროების მირიადი მოჩანდა ზღვარი“ (უსაზღვროების ზღვარის წარმოსახვა შეიძლება, მაგრამ ეს ზღვარი მოჩანდეს და ისიც მირიადი — რაღა „უსაზღვროება“ გამოდის?);

„ისევ შენ იხსნი, შენვე უშველი შენგნით მოწყლულს და მოჟირნასულეს“ (მთარგმნელი, ცხადია, ჭირ-ნანაბს გულისხმობს, მაგრამ კომპოზიტი ჭირნასული ქართველი კაცის ცნობიერებაში ერთი ცნების — მოსავლის — აღმნიშვნელად იქცა და ამიტომ ის ზუსტ მისამართს ვერ იძოვის).

„სხივი რად ქრება სალამეულ გეჰენაში?“ (არსებობს ცალკერდ სიტყვა სადამო და ცალკერდ დამეული, ამათგან კონტამინირებული ფორმის „გაჰეთება“ კი ვეტორს ლექსის საზომმა აიძულა);

„იქნებ მეუფე არარად აქნევს“ (უნდა: არარას აქნევს);

„კარს მოგდგომია სულთამხდომელი“ (ერთმება სიტყვას რომელი. სულთამხუთველის ანალოგით ხელოვნური, მაგრამ კანონიერი იქნებოდა სულთამხდელი, მაგრამ ასეთი რამ ლექსის საზომში ვერ ჩაგდებოდა);

„ზღვად განისუფევ“ (ხელოვნურია! არსებობს სუფევს ზმნა და თანაც უზმნისწინოდ); ასევე ხელოვნურია: „შენოვის ვიგალობ... ვგლობ დამიერთის უდაბნოსავით...“

„მაგრამ სად ვპოვო ტაძრის კარიბჭე — აღარც მწყემსით ჩანს, აღარც მოსავით“ (ესავს ზმნიდან იქნებოდა მესავი).

„მოდგეს იგი მზე, ცასთან მაუბნოს, ფამით ღვინო ჩნდეს, ფამად ხემსები...“ (უაშითი ფამად ტიპის გამონათქვამები გათიშვისას აზრს კარგავენ. ბუნებრივია ფრაზა „მთარგმნელების ოსტატობა დღითი დღე მატულობს“, მაგრამ ასეთი რამ უაზრობაა: „ერთი მთარგმნელის ოსტატობა დღით მატულობს, მეორისა — დღე“-ო).

ეს ფაქტები ოთხიოდე გვერდიდან ამოვწერეთ და სიტყვას აღარ გა-

ვაგრძელებთ, ისე კი სასაჩვებლო იქნებოდა ამ თარგმანების ცალკე ენობრივი განხილვა.

ასეთი ანგარიშგასაწევი დონის თარგმანებმა არ შეიძლება ახალი თაობების ენობრივ შემცირებაში უკვალოდ ჩაიაროს. შეიძლება გვეჩევენება, მაგრამ ჩვენს სტენაში უკვე „გაიღლვა“ ამგვარი გავლენებით აღმდეჭილმა ორიგინალურმა თუ ნათარგმნმა ლექსებმა. მათში ხელოვნურობის კიდევ ერთი უკიდურესობა იმაღლება — „ეროვნულობას“ შეფარებული მანერულობა, რამაც ახალგაზრდა შემოქმედის სტორი გზით განვითარებას შეიძლება შეუშალოს ხელი. იმის საუკეთესო ნიმუშად, თუ რა შედეგი შეიძლება მოვცეს ენის ისტორიაში ჩატენდავად ამგვარმა ძიებებმა, გამოდგება 1980 წლის „საუნჯის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული თარგმანები ფრიდრიხ შოლდერლინის ლექსებისა (მთარგმ. ბ. ადეიტვილი). ლექსი „ყარიბი“ ასე იწყება:

მარტოეული ვდექ — აფრიკის ფიცხელ ველებს თვალნი ჰუწვდინე კიდითი-კიდე. ცეცხლმა აწვიმა დეპატიშას ოლიმპის გარდო.

შორეთიდან წამოიპარა მლიცი ქედი, ხერხემალი რამ მოქანევა —

კვლავ განძარცული, განდგომილი პიტალ თხემი მალლა-მალლა ამორლეოდა.

და უარესად გრძელდება — ამონაწერები უკომენტარებოდაც მეტ- ყველია:

...ყარყატთა გუნდი განელტვოდა მიღამოებას.

...ქედებთა სათნოდ რუდულებით მონაგარი ცვარი ცხოველი.

უფროის ლეთიურ, უფროის შევენ გამზიტკბობდი თვალთა ოდესლაც.

სამყედროის ძილად დაცემული სიცოცხლე ბრქმულ და თოვლით იყო

შემოგარსული...

შემონაკდინონ მარცვლისდარად შენაც გარსნი ბრინჯაოსანი...

და ჩემრალებში ფერთ განიბანენ მთანი მღვივარნი.

შე ეფერება ძილშიდ მორიმარ ჩვილს.

სუნცელმოდენილ თვისი ზენშ შუბლს შევფარვიდი.

...თვინიერ ძალით რამ აღმამალე და გამაქანე.

მოვარტმო რათა მშვიდობამ, ყვავილთა ფერთით დაუუნდე რათა.

### სხვა ლექსებიდან:

თქვენ თქვენენივ ერთი ჰერთ სიძიადეს!

...გულთა ოცნანი სასწაულად აღმიწვდეს მათდა...

...მუნ მომეყურა, დასხლტომილი მტეხვრავ უფსკრულებს სსნად მავედრები თხვრა მოყმისა.

ყურთ აღიხნიდე, ბაგეუბნობდე ესრეო.

ვერ ვერწმუნებით ვერც მთარგმნელის განცხადებას, ასევე ბუნდოგან წინასიტყვაობაში, „ჰოლდერლინისეული სტრუქტურის გადმოტანის, ანუ მისი შეძლებისდაგვარად კვლავაბგერების მოწალინეა ეს თარგმანიც“-ო.

აუცილებელი არაა ამგვარი თარგმანის ორიგინალთან შესაბამისობის ძიება. ამ წერილის ავტორი გერმანულიდან თარგმნას ვერ გაბედავს, მაგრამ გერმანული ენა მისთვის ბევრად უფრო ახლობელია, ვიდრე ამ თარგმანების ქართული — გერმანულ ენას თავისი კანონზომიერებანი აქვს, ხოლო ამ თარგმანების ენა არავითარ კანონებს არ ექვემდებარება.

ახლახან გამოიცა ოვიდიუს ნაზონის „მეტამორფოზების“ თარგმანი, რომლის არქაიზებული ენა არცთუ იშვიათად იმსახურებს შენიშვნებს. ამჯერად მხოლოდ ვლტოლა, სივლტოლა ზმნის მოხშირებულსა და არა სწორ ხმარებას უნდა შევეხოთ. ძველ ქართულში ვლტოლა ზმნას წყვეტილის ფორმა არ გააჩნდა, მთარგმნელები კი ხელოვნურად აწარმოებენ მას:

მერმე ე ღ ტ ვ ა იაზნის; სიმჴლევე ი ღ ტ ვ ა; ვითარ გ ა ნ ე ღ ტ ვ ა მოხუცობა; ჩაუძირავი ე ღ ტ ვ ა ტალღათ დევყალიონის; სიყვდილს გ ა ნ ე ღ ტ ვ ა ღრუბელთ განხენით (I) გრძნეული ქალი.

ერთიც უნდა აღინიშნოს: მთარგმნელები ვლტოლა ზმნას ყველგან მისი ძველი მნიშვნელობით ხმარობენ (განშორება, გაქცევა). ისტორიულად ამ ზმნის სემანტიკა მთლიანად შეიცვალა: ლტოლვა ახლა მისწრაფებას ნიშნავს. როცა ასეთი რამ ხდება, ორაზროვნების ასარიდებლად გამართლებულია ერთ-ერთის (მოქმედის) დაცვა. საანალოგიოდ სხვა შემთხვევის მოხმობაც შეიძლება: განკორწინება ზმნა ძველად გათხოვებას ნიშნავდა, მაგრამ, მისი მნიშვნელობის შეცვლის გამო, დღეს აზრად აღარის მოუვა მისი ძველი სემანტიკით ხმარება.

6. ბარათაშვილს ლტოლვა ზმნა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი მნიშვნელობით აქვს ნახმარი: „მას ელტვიან (გაურბიან) სიამენი სოფლისა“. ერთმა თანამედროვე პოეტმა ბარათაშვილის „მარტოსულობას“ „გაუცხოება“ დაუპირისპირა: „იმ მარტოობას — კაცი რომ კაცის გვერდითაა და მაინც მარტოა — სხვა სახელი გამოვუძებნეთ: გაუცხოება... მაგრამ მას „სოფლის სიამენი აღარ ელტვიან“ — როგორც უწინ...“ ციტატა აღბათ ძველი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ე. ი. „გაუცხოებულ“ კაცს სოფლის სიამენი აღარ გაურბიანო. ბრჭყალების გარეშე ამ ფრაზის გაგება გაშირდებოდა: „მარტოსულობის“ ცნების ასახსნელად არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ძველი გაგებით ელტვიან (ე. ი. გაურბიან) მას „სოფლის სიამენი“, თუ იხლით (ე. ი. მიესწრაფვიან).

გრ. ორბელიანი იმ დროის პირობაზე „სოფლის სიამეთა ლტოლვას“ ვერ დაემდურებოდა, მაგრამ ასეთ „სულმწარე“ სტრიქონებს კი წერდა: „შექცევათ და ლხინთა შინა ვერალარა მიპოვნიეს შვებანი: ყოვლგან თავსა ჩემსა ვხედავ მარტოდ დაჭმთენილსა“... და „არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა...“

არც ამგვარი „გაძველქართულების“ ფაქტებია იშვიათი (თუმცა მათ კიდევ მოევლება):

სიჩუმევ — ასე რამ აგა ლზე ვა!... (ი. ფაგრ); ...ალაგ სურო და სხვაგანაც ხვ-სიო რომ დაჲ ფერი იღა ან აწ („ცისკრის ბიბ-კა“); დავირჩებისართ, მზიან ღლეშიც უკან რომ მოგს და ვთ ჩრდილო... (ვ. ხარჩ); წვიმაში ლამის ზეცა განის ვნე ს („ცისკრის ბიბ-კა“); მაგრამ ხელ მ ჰყავი (იქვე); ...და განა უწყიან ბრძები, თუ რა მოკლეა ყოფა... („ხაუჭჭე“).

ზოგჯერ დაუდევრობის სითამამე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ქართული კინოს პრობლემების შესახებ სადისკუსიო წერილში ერთი საე-ციალიტი წერდა: „ჩვენი ეროვნული კინოს წილებელრი ძმობის, ერთ-გულების შერმატინობა იყო და არი, — მისი თანდაყოლილი თანაარსი, „იმისავე არსებასა შინა უდარესი ძალი“ („ახ კომ!“). ვეტორს უდარესი უმაღლესი, უმთავრესი პგონია, უმდაბლესი, უმცირესი კი არის! შემდეგ: „ასევე არასაინტერესოა როდესაც, რამეთუ ყველასათვის ცნობილს გი-ჩვენებენ და თანაც ნაჩვენებს აღმოჩენად გთავაზობენ“. რამეთუ აქ საო-ცარი გაუგებრობაა!

ამგვარი ფაქტები, ცხადია, დასანანია და მათ გზა უნდა გადაეღო-ბოს.

მაგრამ მაინც ყველაზე მეტ სიფრთხილეს უცხოენოვანი გავლენები-საღმი დამკიდებულება მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, როგორც ითქვა, საშიშროებას პირველ რიგში კალკები ქმნის.

ცალკეული ლექსიკური ერთეულების შესახებ შეგვიძლია ამ შემთხვე-ვაში განგაში არც ავტეხოთ. ენას შეუძლია თვითონ მოუაროს შათ და ყურად არ იღოს ისეთი პოპულარული პოეტის, როგორიც ტ. ჭანტურიაა, „თავისი პურისტი კრიტიკოსის გასაგონად“ ნათქვამი ლექსიც კი:

„არ დაიქცევა ქვეყანა,  
რომ შემოვღეს ენაში  
და დაკანონდეს სიტყვები:  
„ზმეია“, „ნასყი“, „სენაერი“.  
ვითომ, ქართული თუ არის,  
„ზმეიქია“ რით ჭობს „ავლათი“!  
ანდა, მოლად ჩვენი რომ არის,  
„ზაგრეს“ ამით ჭობს „დალატი“?“

ამგვარი მოუფრთხილებლობა სასიამოვნო არაა, მაგრამ ეს მოსაგო-ნებელიც არ არის იმასთან, სხვა ენის სტრუქტურებისადმი დამონება რომ იშვევს. ეს საკითხი მით უფრო მწვავედ დგება ორენოვნობასთან და-კავშირებით. რუსული ენა საბჭოთა ხალხების საერთო ენაა, ამავე დროს იგი არის შუამავალი ენა, რომლის მეშვეობითაც ვიღებთ ძირითადად უცხოურ ინფორმაციას მეცნიერებისა თუ ხელოვნების დარგში. ქართუ-ლი და რუსული სხვადასხვა სტრუქტურის ენებია, ამიტომაც რუსული

ენის კალკების ხელალებით შემოტანა ქართულში არ შეიძლება ნორმა-ლურ მოვლენად ჩაითვალოს. ეს მოვლენაც ყველაზე უფრო ხელშესახები თარგებანებში ხდება ხოლის. აქ სათანადო ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად მათ გვერდს ვუვლით იმის შეგნებით, რომ ამ საკითხებს საგანგებო ყურადღება და ანალიზი სჭირდება. პრობლემის ზოგადი მხარე ისედაც ნათელია.

არ შეიძლება საგანგაშო არ იყოს ის, რომ კალკებმა ორიგინალური პოეზიის ენაშიც კი გამოუმნა. უდავოა, რომ კალკებით დაწერილ ლექსს პოეზიასთან ცოტა აქვს საერთო, მაგრამ ის განუკითხაობა, რომლის წყალობითაც ამგვარი ფაქტები მზის სინათლეზე გამოდის, არ შეიძლება ენისათვის უკვალოდ გარდავიდეს.

ეს წერილი ცალკეული ავტორებისათვის იმ ფრაგმენტული შენიშვნების მისაცემად არ დაწერილა, საილუსტრაციო ნიმუშებს რომ ახლად. ასე რომ ყოფილიყო, მისი უფრო მეტი თეორიული და პრაქტიკული მასალით შემაგრება შეიძლებოდა.

უკვე საქმარისი გამოცდილება დაგროვდა იმ დასკვნისათვის, რომ ცალკეულ ავტორებთან ენობრივ საკითხებზე კამათი საგრძნობ შედეგს თითქმის არ იძლევა (პირადულობის ჩრდილშიც რომ არ მოექცევ). წერილმა შეიძლება ერთი-ორი შეცდომა გაასწორებინოს ადრესატს, მაგრამ საეჭვოა ენის შესასწავლად დასვას იგი. ამიტომაც იმდენადვე დიდია ხოლმე იმედის გაცრუება ამგვარი ცალკეული წერილების შემდეგ, რამდენადაც ისინი თითქმის ვერ ასრულებენ იმ დანიშნულებას, იმ ფუნქციას, რასაც მათ ავტორები აქისრებენ.

მაინც, მოყვანილი ენობრივი შეცდომებიდან ერთი დასკვნა აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ: რედაქციებს ჯერ კიდევ სათანადოდ არა ძეგო მოგვარებული საკუთარი „ენობრივი მეურნეობები“, გულგრილად ეპყრობიან საშვილიშვილო პრობლემას და ვერ ახერხებენ ამ სატექივრის მეურნალობას. ონიშნული შეცდომებიც უწინარესად მათს კისერზეა, რადგანაც ისინი ამ თვალსაზრისით საცრის როლს უნდა ასრულებდნენ (საცრის სიმტკიცეზე კი ბევრად არის დამოკიდებული საერისპურე იფქლის სიწმინდე).

აქ საქართველოს მწერალთა ყრილობაზე ნათქვამი სიტყვები უნდა მოვიშველით: „შეიძლება ყველა, რედაქციაში მისული, დაბეჭდვის ღირსი არ იყოს, მაგრამ იმის ღირსი მაინც ყველა არის, რომ სიმართლე პირში ვუთხრათ!“